თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 17

„13“ სექტემბერი 2023 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზი მთვარელიშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი;**
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის
და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**
სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხაჭაპურიძე;**

ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე **ზაადურ რევაზიშვილი;**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს თვმჯდომარის თანაშემწე **მედეა ჩაფურიშვილი;**
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალიტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი**

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების და კომისიების სხდომების გრაფიკის განსაზღვრის შესახებ.
მომხს. თ.მთვარელიშვილი

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების და კომისიების სხდომების გრაფიკის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი

აზრი გამოთქვეს: დ. ღაღანიძემ, თ. ხანჯალიაშვილმა

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის ექსტრემალური სპორტის კლუბისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელენე ჩხუბიანისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის № 18 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

განხილვისათვის განისაზღვროს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა გაიმართოს 19 სექტემბერს 12.00სთ-ზე.

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზი მთვარელიშვილი